“დინამო” (თბილისი) – ცსკა 2:0 (1:0).

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 30 მარტი.

“დინამო”: მჭედლიძე, ჟიბა, ჩივაძე, პაიკიძე, მუჯირი, სვანაძე, სულაქველიძე, ჩქარეული, კაკილაშვილი, შენგელია (მიქაბერიძე).

ცსკა: ნოვიკოვი, კრუგლოვი, სამოხინი, აჯემი, კუზნეცოვი, გლუშაკოვი, ჩესნოკოვი, ბულგაკოვი, ტარხანოვი, ზემლინი (პლოტნიკოვი), ნესტეროვი (ვასილიევი).

მსაჯი: ვ. კუზნეცოვი.

გოლები გაიტანეს ჯოხაძემ და ჩქარეულმა (62).

გაფრთხილებულია გლუშაკოვი

დუბლიორები 1:1 თბილისელთაგან გოლი გაიტანა ჟორჟიკაშვილმა

მატჩის დამთავრებამდე თითქმის ბევრი აღარაფერი რჩებოდა, როცა თბილისელებმა ზედიზედ სამი ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს. თითოეული მათგანი სულ იოლად შეიძლებოდა გოლით დასრულებულიყო. ამ დროისთვის მასპინძლები 2:0 იგებდნენ. რა თქმა უნდა არ ვაპირებ, რომ ეს შთამბეჭდავი ფინალი დინამოელთა აშკარა უპირატესობის საილუსტრაციოდ გამოვიყენო. მით უფრო გუშინდელ მატჩში ცსკა-ს თამაშს საუკეთესოს ვერ დაარქმევ კაცი. მაგრამ ის, რაც შეხვედრის დასაწყისში მომივიდა ფიქრად, იმ ორი კომბინაციის წყალობით დასაბუთებული, ლოგიკური გახდა.

სანამ ფეხბურთის ანგარიშებს ადამიანები წერენ, ბუნებრივია, თამაშის თაობაზე გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება და შეფასება სუბიექტური იქნება. ახლა კი გავბედავ და ვიტყვი, რომ ჩემპიონატის მეორე მატჩში “დინამომ” გაცილებით უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა. თქმა არ უნდა, ფეხბურთში პირველყოვლისა შედეგია ანგარიშგასაწევი მთავარი საზომი, მაგრამ ამ შემთხვევაში, ამ შემთხვევაში, მართალი გითხრათ, იმ ორ გოლს მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ.

თამაშის პირველივე წუთებიდან იგრძნობოდა, რომ მასპინძელთა მოქმედებას საფეხბურთო აზროვნების დაღი ედო. ცხადია, იყო საფეხბურთო წუნი - თბილისელები ხშირად სცოდავდნენ გადაცემების სიზუსტეში - მაგრამ თვით კომბინაციების კონსტრუქცია თამაშის სისაღეზე მეტყველებდა. ამას დაერთო დინამოელთა სურვილი, მერე კი რწმენაც, რომ აუცილებლად მოიგებდნენ ამ მატჩს და შედეგმაც არ დააყოვნა. მე-20-ე წუთზე ჩქარეული მიერ კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს ზუსტი მისამართი მოუძებნა ჯოხაძემ - 1:0. მოსკოველები შედარებით გააქტიურდნენ, მაგრამ თავიდანვე აღებული ტაქტიკური ბრძოლის სქემა საფუძვლიანად ვერ შეცვალეს და სულ მალე ამ აქტიურობას მოჩვენებითის ელფერი დაედო. საქმე ის არის, მხოლოდ საკუთარი კარის უსაფრთხოებისათვის მომართული სტუმართა ხუთი მცველიდან ერთი მაინც უნდა წასულიყო ნახევარმცველთა და თავდამსხმელთა მისახმარებლად. ამ დროებით გადაადგილებას თბილისელთა რამდენიმე სახიფათო იერიში მოჰყვა და მეორე გოლის გაშვების შიშით ცსკა თავის ძველ სქემას დაუბრუნდა.

მატჩი ასეც გაგრძელდა, სანამ 62-ე წუთზე ჟიბა-შენგელია ჩქარეულის კომბინაცია მეორე გოლით არ დასრულდა - 2:0. ყოველივე ამის შემდეგ რისკსაც აღარ ჰქონდა აზრი და სტუმრები ბედს შეურიგდნენ. სულაც არ მინდა ვთქვა, რომ ცსკა-მ საბოლოოდ შეწყვიტა წინააღმდეგობა, მაგრამ რაიმე არსებითი გარდატეხის უნარი გუნდს აღარ ჰქონდა. “დინამომაც”, რაღა თქმა უნდა, ისარგებლა ამით და მაყურებელს უჩვენა ის, რისი შესაძლებლობაც ამ გუნდს, მჯერა რომ აქვს.

ი. ბერიაშვილი

მატჩის შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაში მონაწილეობდნენ არმიელთა გუნდის უფროსი მ. პლახეტკო, მწვრთნელი ს. ოლშანსკი, აგრეთვე “დინამოს” გუნდის უფროსი ს. კუტივაძე და ტომსკელი არბიტრი ვ. კუზნეცოვი. სტუმრებმა მიულოცეს თბილისელებს გამარჯვება.

ცსკა-ს გუნდის უფროსმა მ. პლახეტკომ თქვა, რომ დინამოელთა რიგებში წელს დიდი ცვლილებებია, მათ სწორედ მოგება სჭირდებოდათ, ვინაიდან ახალგაზრდობამ, რომელმაც პირველად ჩაიცვა “დინამოს” მაისური, უნდა ირწმუნოს საკუთარი ძალები. ისინი ქების ღირსი არიან კიდევ იმიტომ, - აღნიშნა პლახეტკომ, - რომ პირველი გოლის შემდეგ, რომელიც მათ ჩვენს კარში გაიტანეს, ყრუ დაცვაზე არ გადასულან და საფინალო სასტვენამდე საბრძოლველად იყვნენ შემართული. სტუმართა გუნდი უფროსმა გამოყო ჯოხაძის და ჩქარეულის კარგი თამაში.

ს. კუტივაძემ არმიელ კოლეგებს მადლობა გადაუხადა კეთილი სურვილებისათვის დათქვა, რომ დინამოელთა მთელი კოლექტივი შეეცდება კვლავაც ღირსეულად გააგრძელოს გუნდის ტრადიციები.

“ლელო” 31. 03. 83